



ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის მერის

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

N 547

14/03/2018

ქალაქი ბათუმი

547-05-4-201803141245



ქ. ბათუმში, დასახლება კახაბერში მდებარე არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთიდან (ს/კ 05.32.07.655) 18 კვ.მ მიწის ნაკვეთის სერვიტუტის ფორმით დატვირთვის შესახებ

საქართველოს ორგანული კანონი „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“-ს 122-ე მუხლის, ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 19 თებერვლის №10 განკარგულების, შ.პ.ს „მოდუსი“-ს დირექტორის ოთარ დარჩიძის 2017 წლის 27 დეკემბრის №15420/05 განცხადებისა და მერიის მეორადი სტრუქტურული ერთეულის ეკონომიკის, ქონების მართვის, სოფლის მეურნეობისა და შესყიდვების სამსახურის ქონების მართვის განყოფილების უფროსის ა. ბაჟაშვილის 2018 წლის 09 მარტის №714-05 მოხსენებითი ბარათის საფუძველზე **ვბრძანებ:**

1. შ.პ.ს „მოდუსი“-ს სასარგებლოდ სერვიტუტის ფორმით დაიტვირთოს ქ. ბათუმში, დასახლება კახაბერში მდებარე არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთიდან (ს/კ 05.32.07.655) 18 კვ.მ მიწის ნაკვეთი ორი წლის ვადით.

2. ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ადმინისტრაციული სამსახურს (მირზა ბახტაძე) მიენიჭოს უფლებამოსილება მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად გააფორმოს შ.პ.ს „მოდუსი“-თან სერვიტუტის ხელშეკრულება, ხოლო მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ეკონომიკის, ქონების მართვის, სოფლის მეურნეობისა და შესყიდვების სამსახურის, მეორადი სტრუქტურული ერთეულის ქონების მართვის განყოფილებამ (ანა ბაჟაშვილი) უზრუნველყოს მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმება.

3. ბრძანება შეიძებნება გასაჩივრდეს ხელვაჩაურის რაიონულ სასამართლოში (მის: ქ. ბათუმი, ფრიდონ ხალვაშის გამზირი N358) დაინტერესებული მხარის მიერ მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

4. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

ჯუმბერ ვარდმანიძე

მუნიციპალიტეტის მერი

